2014 წლის დისციპლინური სტატისტიკა

2014 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, სათანადო ფორმის დაცვით, შემოტანილი იქნა 212 დისციპლინური საჩივარი. ამათგან, რიგი საჩივრების გაერთიანების შედეგად, წარმოებული იქნა 204 დისციპლინური საქმე. 2013 წლიდან 2014 წელს გადმოსული იქნა 179 დისციპლინური საქმე, ანუ სულ 2014 წელს წარმოებული იქნა 383 დისციპლინური საქმე.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო სხდომებზე განხილული იქნა 313 დისცილინური საქმე, რომელთაგანაც:

წინასწარი შემოწმების შედეგების საფუძველზე, 266 დისციპლინურ საქმეზე შეწყდა სამართალწარმოება (84,98%);

17 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათებით (5,44%);

30 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები (9,58%), რომელთაგან, დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად, 20 საქმეზე შეწყდა დისციპლინური დევნა, 8 საქმეზე გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, ხოლო 2 საქმეზე საბჭოს დღეის მდგომარეობით არ უმსჯელია.

70 საქმეზე მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება.